



საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ უ ნ ე ბ უ

N 59
16/05/2022

59-22-4-202205161601



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესისა და საქმეთა განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-12 მუხლის, ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესი“ თანდართული სახით (დანართი №1).
2. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესი“ თანდართული სახით (დანართი №2).
3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულებისათვის სარეკომენდაციო სახით დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესით“ გათვალისწინებული ოქმების შაბლონები თანდართული სახით (დანართი №3).
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 19 თებერვლის N82 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმისწარმოების ერთიანი წესი.“
5. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის წინამდებარე ბრძანების დაგზავნა დაევალოს სახალხო დამცველის აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

დანართი N1

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში
საქმეთა განაწილების წესი

2022 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესი
თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი ნორმები

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საქმეთა განაწილების წესი (შემდგომში - „საქმეთა განაწილების წესი“) შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის №459 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების“, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
2. საქმეთა განაწილების წესი განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების დეტალურ ჩამონათვალს, სახალხო დამცველის აპარატის შემოსული განცხადებების/საჩივრების სახალო დამცველის კომპეტენციასთან შესაბამისობის დადგენის (პირველადი შემოწმების) ერთიან პოლიტიკას, სტანდარტს და კრიტერიუმებს.
3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ შემოსული ინფორმაციის (განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი) შესაბამისობას სახალხო დამცველის კომპეტენციასთან ამოწმებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პირველად შემოწმებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.
4. წინამდებარე წესში გამოყენებული ტერმინები განიმარტება „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესით“ დადგენილი მნიშვნელობის შესაბამისად.

მუხლი 2. მიზანი

საქმეთა განაწილების წესის მიზანია საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მაქსიმალური სიზუსტით იდენტიფიცირება სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციების მიხედვით, განცხადების/უფლებადარღვევის ოქმის პირველადი შემოწმების კრიტერიუმებისა და სახალხო დამცველის კომპეტენციასთან შესაბამისობის ერთიანი სტანდარტის შემუშავება.

მუხლი 3. საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი

1. საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.
2. საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს, როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით“ (დამტკიცებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის №459 ბრძანებით) და „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმეთა განხილვის წესის“ შესაბამისად.

თავი II. საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენციასთან შესაბამისობის შემოწმება (პირველადი შემოწმება) სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის მიხედვით

მუხლი 4. პირველად შემოწმებას დაქვემდებარებული დოკუმენტაცია

1. პირველადი შემოწმების ეტაპს გაივლის ყველა ის განცხადება/უფლებადარღვევის ოქმი, რომელშიც მითითებულია ადამიანის სავარაუდო უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შესახებ და რომლის შესწავლაც უნდა მოხდეს სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შეფასების მიზნით.

2. პირველადი შემოწმების ეტაპს არ გაივლის და გადამისამართდება შინაარსის მიხედვით სახალხო დამცველთან/პირველ მოადგილესთან/მოადგილეებთან ან აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან/პირთან:

2.1 უცხო ქვეყნების ომბუდსმენების და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მიერ გამოგზავნილი წერილები/მომართვები;

2.2. სახალხო დამცველის აპარატის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციას მიკუთვნებული კორესპონდენცია:

ა) ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი;

ბ) მოქალაქეთა მომსახურების დეპარტამენტი;

გ) სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;

დ) პრევენციის ეროვნული მექანიზმი (დეპარტამენტი);

ე) საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო;

ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებების მართვის სამმართველო;

ზ) ანალიტიკური დეპარტამენტი;

თ) სახალხო დამცველთან არსებული სათათბირო ორგანოები.

2.3 განცხადება ან წერილი, რომელიც ეხება:

ა) საჯარო ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების გაცემას;

ბ) საქართველოს სახალხო დამცველთან/სახალხო დამცველის მოადგილეებთან შეხვედრას;

გ) მოთხოვნას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით რომელიმე საკითხის ნორმატიულ დონეზე რეგულირებას;

დ) პატიმრობაში მყოფი ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის და/ან მსჯავრდებულის მონახულებას აპარატის თანამშრომლების მიერ;

ე) რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;

ვ) მოთხოვნას სახალხო დამცველის მხრიდან სამართლებრივი შეფასების/დასკვნის მომზადების ან/და კონსულტაციის გაწევის თაობაზე შესაძლო კონკრეტული უფლებადარღვევის თავიდან აცილების მიზნით;

ზ) ინფორმაციული ხასიათის შეტყობინება, მოსაწვევები, მისალოცი ბარათები და სხვა მსგავსი ტიპის კორესპონდენცია;

თ) წინამდებარე პუნქტში მითითებული საკითხების მსგავს შინაარსობრივ საკითხებს. ამასთან, როდესაც განცხადება არის ზოგადი ხასიათის და არ არის მოთხოვნილი კონკრეტული უფლებადარღვევის თაობაზე რეაგირება სახალხო დამცველის კომპეტენციის ფარგლებში.

2. 4. პირველადი შემოწმების ეტაპს არ გაივლის სახალხო დამცველის ინიციატივით დაწყებული წარმოება სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტის შესწავლის მიზნით.

მუხლი 5. მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტი

1. მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტი ამოწმებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის

შესაბამისობას სახალხო დამცველის კომპეტენციასთან წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

2. სახალხო დამცველის აპარატში მიღებული განცხადების/უფლებადარღვევის ოქმის სახალხო დამცველის კომპეტენციასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტი ასეთ საქმეს შესასწავლად გადასცემს სახალხო დამცველის შესაბამის სტრუქტურულს ერთეულს/ერთეულებს აპარატში საამისოდ დადგენილი წესების შესაბამისად. თუ შესასწავლი საკითხის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საჭიროა (ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში) აპარატის სხვა სტრუქტურული ერთეულისთვის, მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტი ინფორმირების მიზნით აწერს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულსაც.

3. მოქალაქეთა მომსახურებისა და პირველადი რეაგირების დეპარტამენტი თავად შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებულ შემდეგ განცხადებებს/უფლებადარღვევის ოქმებს:

ა) ინფორმაციის მიღების თაობაზე სისხლის სამართლის საქმეზე და ბავშვის უფლებათა საკითხებზე სასამართლო სხდომის დანიშვნის თარიღების შესახებ;

ბ) სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას პროცესუალური უფლებების სავარაუდო დარღვევისა და ბავშვის უფლებათა საკითხებზე სასამართლო განხილვის გაჭიანურების ფაქტებს;

გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეების დისციპლინურ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებას, გარდა სისხლის სამართლის საქმის განხილველი მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმეებისა;

დ) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხებს;

ე) ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის მიწოდების შეწყვეტასთან ან/და დავალიანებასთან დაკავშირებული საკითხებს, რომელიც საჭიროებს რეაგირებას საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მხრიდან.

მუხლი 6. სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველო

1. სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველოს შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებულ განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომელიც ეხება:

ა) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობას;

ბ) საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სასამართლო მეგობრის (*amicus curiae*) მოსაზრებით მიმართვას, როდესაც საკითხი სახალხო დამცველის კომპეტენციას მიეკუთვნება;

გ) საერთო სასამართლოსთვის სასამართლო მეგობრის (*amicus curiae*) მოსაზრებით მიმართვას, როდესაც საკითხი კონსტიტუციურ-სამართლებრივია;

დ) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საჩივრებს;

ე) საჩივრებს/განცხადებებს, რომლებიც დაკავშირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ნორმის სანაცვლოდ მისაღები ნორმის (ე.წ. დამძლველი ნორმის) შემუშავების აუცილებლობასთან.

მუხლი 7. ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი

1. ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომელიც ეხება:

ა) სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა საკითხების იმგვარად ასახვას, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ განმარტებებს უფლებათა შესახებ;

ბ) მოსწავლეთა ან მასწავლებელთათვის დადგენილ სასკოლო სახელმძღვანელოებში ან სტუდენტებისთვის განკუთვნილ სასწავლო მასალაში ადამიანის უფლებების პრინციპებთან შეუსაბამო ტექსტების, ილუსტრაციების, განმარტებების (ტექსტი და ვიზუალური მასალა, რომლითაც ნორმალიზებულია დისკრიმინაციული შეხედულებები, პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია, არატოლერანტული დამოკიდებულებები და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო ამგვარი სწავლებები) შეტანას;

გ) სამოქალაქო განათლების საგნისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულზე ნაკლები საათების დათმობას;

დ) ადამიანის უფლებათა სწავლების ხარისხთან დაკავშირებული საკითხებს გადამზადების პროგრამებში, რომელშიც ჩართული არიან სკოლის პედაგოგები და სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაცია;

ე) ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესში ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპების მცდარ ინტერპრეტაციას, რელიგიურ ან/და პოლიტიკურ პროპაგანდას. ამასთან, უმაღლესი განათლების ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს აკადემიური თავისუფლების პრინციპი.

მუხლი 8. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებულ განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომელიც ეხება:

ა) მოქალაქის, მათ შორის, თავისუფლებააღკვეთილი ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის სიცოცხლის უფლების, მათ შორის, არასრულწლოვანის სიცოცხლის უფლების დარღვევას;

ბ) მოქალაქის, მათ შორის, თავისუფლებააღკვეთილი ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის, მათ შორის, არასრულწლოვნის, წამებას, არაადამიანური, სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენებას;

გ) დაწყებული გამოძიების გაჭიანურებას ან არაჯეროვან მიმდინარეობას. მოქალაქის განმეორებითი განცხადება დასაშვებია სახალხო დამცველის აპარატიდან ამ საკითხზე პასუხის გაგზავნიდან 5 თვის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე სადავოდ ხდის დაწყებული გამოძიების გაჭიანურების საკითხს და იგი ეხება სიცოცხლის უფლების დარღვევას ან წამების, არაადამიანური, სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების შემთხვევებს, განცხადება დასაშვებია 5 თვიანი ვადის დაუცველად, თუ განცხადებაში მითითებულია ახალი გარემოებები;

დ) წარმოდგენილია გამოძიების მასალები, რომელიც მიუთითებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების დარღვევას და მოთხოვნილია უფლებრივ ჭრილში საქმის შეფასება;

ე) თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტებს;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს;

ზ) მსჯავრდებულის/ბრალდებულის ექსტრადიციას/სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით სხვა ქვეყანაში გადაყვანას/სხვა ქვეყნიდან გადმოყვანას;

თ) სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტებს; სასამართლოში ან გამოძიების პროცესში საპროცესო უფლებების დარღვევის შესახებ და დაკონკრეტებული საპროცესო უფლებების დარღვევის ფაქტები (მოწმის დაკითხვის, ადვოკატის ყოლის ან/და ექსპერტიზის დანიშვნის, თარჯიმნის ჩართვის, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევის ან/და სხვაგვარი უფლებადარღვევის ფაქტები);

ი) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე დასწრების მოთხოვნას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე არგუმენტირებულად მიუთითებს, რომ პროცესზე დასწრების გარეშე (სასამართლო სხდომის ოქმის, განაჩენის ან სხვა მასალების გაცნობით) ვერ დადასტურდება უფლებადარღვევის ფაქტის არსებობა;

კ) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, თუ სახელმწიფოს მხრიდან მოხდა უკანონო ჩაწერა ან კანონიერი ფარული ჩანაწერის უკანონოდ შენახვა, გავრცელება ან გამოქვეყნება;

ლ) პატიმრის კანონმდებლობით დადგენილი უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტს, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ადეკვატურობას, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ პირობებს, სატელეფონო კომუნიკაციისა და მიმოწერის შეზღუდვას, ადვოკატთან კომუნიკაციის კონფიდენციალობის დარღვევას, პატიმრის მიმართ დისციპლინური სახდელის დაუსაბუთებელ გამოყენებას და სხვა. ასევე, მსჯავრდებულის ვადაზე ადრე გათავისუფლებას, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლას, პრობაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

მ) თავისუფლებააღკვეთილი ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთან საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის შეხვედრას, თუ განცხადება მიეკუთვნება საქართველოს სახალხო დამცველის მანდატს და სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის კომპეტენციას;

ნ) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელთან პატიმრის შეხვედრას, თუმცა მიზეზი არ არის მითითებული;

ო) პატიმრის შიმშილობას, თვითდაზიანებას ან/და მსგავსი განზრახვის არსებობის შესახებ მითითებას;

პ) ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პაციენტების მონახულების საკითხს;

ჟ) ნარკოტიკის/იარაღის/დანაშაულის იარაღის ან/და სხვა საგანის პირისათვის ჩადებას;

რ) სამართალდამცავ ორგანოებისათვის მიმართვის მიუხედავად პასუხის მიუღებლობას დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტზე გამოძიების დაწყების/შეწყვეტის, ასევე დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან უნდა მოხდეს მიმართვის თარიღის, ადრესატის ან რეგისტრაციის ნომრის მითითება;

ს) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან საპოლიციო და საგამომიებო/საპროცესო მოქმედებებისას ადამიანის უფლებების დარღვევას ან მსგავს ფაქტებზე კომპეტენტური უწყებების არაჯეროვან რეაგირებას;

ტ) სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში პირის საკუთრების უფლების სავარაუდო დაუსაბუთებელ შეზღუდვას;

უ) უცხოეთში ან საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული პირების მოძიებაში დახმარებას თუ პირი წარმოდგენს შესაბამის უწყებასთან მიმართვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან/და საქართველოს მოქალაქის მიმართ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა უფლებადარღვევის ფაქტზე რეაგირებას უცხოეთში.

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული შემთხვევების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს შეიძლება მიმართოს პირმა, რომელსაც უშუალოდ ეხება აღნიშნული საკითხები (მოქალაქე, თავისუფლებააღკვეთილი ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი), ასევე სხვა უფლებამოსილმა პირებმა, მათ შორის, პენიტენციურმა დაწესებულებამ, ადვოკატმა, ოჯახის წევრმა და სხვა.

მუხლი 9. ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი

1. ბავშვის უფლებათა დეპარტამენტი შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადებას/ უფლებადარღვევის ოქმს (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც განცხადება არის ანონიმური, წარმოდგენილია დაინტერესებული პირის მიერ), რომელიც ეხება 18 წლამდე პირის შესაძლო უფლებადარღვევის ქვემოთ მითითებულ შემთხვევებს:

ა) არასრულწლოვანთა სახელმწიფო მზრუნველობის, მხარდამჭერ და სარეაბილიტაციო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის საკითხებს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ განმცხადებელმა ამ საკითხზე მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას;

ბ) სახელმწიფო მზრუნველობის პროგრამით მოსარგებლე პირების უფლებების დარღვევას;

გ) სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლების უფლებას (ჩარიცხვა, მობილობა, ვაუჩერული დაფინანსება, განათლების ხელმისაწვდომობას, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა და სხვა). განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ განმცხადებელმა ამ საკითხზე მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას;

დ) არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობას (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ბულინგი, უგულვებლყოფა) ან/და სხვა სახის არასათანადო მოპყრობას. განცხადება დასაშვებია რაიმე დოკუმენტის წარმოდგენის გარეშეც;

ე) ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის უფლებას. ასეთ შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვ) ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა უფლებებს. განცხადება დასაშვებია რაიმე დოკუმენტის წარმოდგენის გარეშეც;

ზ) პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვან პირთა უფლებებს ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. განცხადება დასაშვებია რაიმე დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე;

თ) პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში მყოფ სრულწლოვან პირთა განცხადებებს ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. განცხადება დასაშვებია რაიმე დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე;

ი) ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ამ საკითხზე განმცხადებელმა მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას;

კ) არასრულწლოვანთა სიცოცხლისა და განვითარების უფლებას. განცხადება დასაშვებია რაიმე დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე;

ლ) არასრულწლოვანთა მონაწილეობისა და გამოხატვის თავისუფლებას. განცხადება დასაშვებია რაიმე დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე;

მ) არასრულწლოვანთა ოჯახურ გარემოში ცხოვრების უფლებას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ამ საკითხზე განმცხადებელმა მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას;

ნ) ბავშვთა სიღარიბის და ცხოვრების არასათანადო პირობებთან დაკავშირებულ საკითხს (ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებას, სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართვის საკითხი და სხვა მსგავსი საკითხები). სასურველია განცხადებას თან ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ამ საკითხზე განმცხადებელმა მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას ან/და განცხადებაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების არარსებობა არ წარმოადგენს განცხადების დასაშვებობაზე უარის თქმის საფუძველს;

ო) საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი, თანმხლები პირის გარეშე გადაადგილებული არასრულწლოვანის უფლებრივ საკითხებს, თუ განცხადებაში პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ბავშვის უფლების დარღვევას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ამ საკითხზე განმცხადებელმა მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებას;

პ) პირის განცხადებას, რომელიც სადავოდ ხდის დაწყებული გამოძიების გაჭიანურებას თუ გამოძიება ეხება დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, და თუ ეს არ ეხება არასრულწლოვანის სიცოცხლის უფლებას ან არასრულწლოვანის მიმართ წამების, არაადამიანური, სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების შემთხვევას. მოქალაქის განმეორებითი განცხადება შეიძლება შესწავლილი იქნეს სახალხო დამცველის აპარატიდან ამ საკითხზე პასუხის გაგზავნიდან 5 თვის შემდეგ.

ჟ) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე დასწრების მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავა გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა კოდექსიდან.

2. წინამდებარე მუხლის „დ“-„ვ“, „კ“, „ლ“ და „ნ“ პუნქტებით გათვალისწინებულ საქმეებზე ინფორმაციის მიღებისთვის განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ბავშვის დაბადების მოწმობის, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ ის არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და აქვს ბავშვთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცნობის უფლება.

3. განცხადებები, რომლითაც უშუალოდ ბავშვები (18 წლამდე პირები) მიმართავენ სახალხო დამცველის აპარატს დასაშვებია, ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე.

მუხლი 10. გენდერის დეპარტამენტი

1. გენდერის დეპარტამენტი შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომელიც ეხება:

ა) ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობას (ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიური, სექსუალური, ქალის მკვლელობა/მკვლელობის მცდელობა, ქალის თვითმკვლელობა/თვითმკვლელობის მცდელობა, ადევნება, მუქარა/შანტაჟი), მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც განცხადება არის ანონიმური, წარმოდგენილია დაინტერესებული პირის, მესამე პირის მიერ ან/და თან არ ერთვის განცხადებაში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები (მიმართვა სამართალდამცავი ორგანოებისადმი და სხვა);

ბ) ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტს, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის მოთხოვნა არის ზოგადი და გაურკვეველი;

გ) ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის ფაქტს: ქორწინების იძულება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, იძულებითი ნიშნობა/გარიგება;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტს, მათ შორის, სექსუალური ექსპლუატაცია, პროსტიტუციაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა;

ე) ლგბტ+ თემთან დაკავშირებულ უფლებადარღვევის ფაქტს;

ვ) სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უფლებადარღვევის ფაქტს, მათ შორის, არასათანადო სერვისების მიღება, იძულებითი სტერილიზაცია, დედათა სიკვდილიანობა, აბორტის იძულება, დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა, დედის მიერ ახალშობილის მიტოვება, უკანონო აბორტი;

ზ) გენდერული თანასწორობის დარღვევას ნებისმიერი საფუძვლით;

თ) მარტოხელა მშობლის სტატუსი და სტატუსიდან გამომდინარე სერვისებთან (ადმინისტრირებადი როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ) წვდომის საკითხებს;

ი) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე დასწრების მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გენდერის დეპარტამენტის წარმოებაშია;

კ) პირის განცხადებას, რომელიც სადავოდ ხდის დაწყებული გამოძიების გაჭიანურებას თუ გამოძიება ეხება დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, და თუ ეს არ ეხება თავისუფლებააღკვეთილი ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის სიცოცხლის უფლებას ან პირის მიმართ წამების, არადამიანური, სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების შემთხვევას. მოქალაქის განმეორებითი განცხადება შეიძლება შესწავლილი იქნეს სახალხო დამცველის აპარატიდან ამ საკითხზე პასუხის გაგზავნიდან 5 თვის შემდეგ.

ლ) პენიტენციური და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული პირის მოთხოვნას გენდერის დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის შესწავლის ან მონახულების თაობაზე.

2. გენდერის დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ განცხადებებზე, სათანადო დოკუმენტების არარსებობა არ არის ხარვეზის დადგენის საფუძველი.

მუხლი 11. თანასწორობის დეპარტამენტი

1. თანასწორობის დეპარტამენტი შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომლებიც ეხება:

ა) დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტს, რომელიც მომხდარია 2014 წლის 7 მაისის შემდეგ (აღნიშნული არ ეხება შემთხვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2014 წლის 7 მაისამდე და გრძელდება აღნიშნული თარიღის შემდეგ);

ბ) დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტს, გარდა იმ შემთხვევისა, რომლის თაობაზეც არსებობს სასამართლოს/არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან დამტკიცებული მორიგების აქტი დავის იმავე საგანზე ან დავის იგივე საგანზე იგივე ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით მიმდინარეობს სასამართლო/არბიტრაჟში დავა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმისწარმოების დაწყების შემთხვევაში, სასამართლოსთან მოხდება იმავე საკითხებზე სამართლებრივი პროცესის წარმართვა.

გ) სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენის შესახებ თხოვნა სასამართლოში მიმდინარე საქმეზე, რომლის დავის საგანია დისკრიმინაციის აღმოფხვრა/დადგენა და არსებითი/მთავარი სხდომის გამართვამდე მინიმუმ 10 კალენდარული დღეა დარჩენილი.

დ) სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს;

ე) დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტს, რომელიც მიუთითებს, დისკრიმინაციის ჩამდენ პირზე და მის საკონტაქტო ინფორმაციაზე. განმცხადებლის მიერ შესაბამისი მოპასუხისა და მისი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებამდე შესაძლებელია დადგინდეს ხარვეზი;

ვ) ფაქტს, რომელიც აღწერს, რომ განმცხადებელს შეეზღუდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება დისკრიმინაციისგან დაცული კონკრეტული ნიშნის გამო და უთითებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე;

ზ) სახალხო დამცველის მიერ დამტკიცებული მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს;

თ) ფაქტს, რომელიც ეხება დისკრიმინაციის წახალისებას.

მუხლი 12. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებული განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომელიც ეხება:

ა) სახელმწიფოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/შშმ ბავშვის საჭიროებების შესაბამის სამიზნე პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) მხარდაჭერის მიმღების უფლებადარღვევის საკითხებს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის/შპმ ბავშვის სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებულ დარღვევებს, თუ სავარაუდო უფლებადარღვევა უკავშირდება მის შეზღუდულ შესაძლებლობას.

დ) პენიტენციური და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების დარღვევას, თუ სავარაუდო უფლებადარღვევა უკავშირდება მის შეზღუდულ შესაძლებლობას.

ე) საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე დასწრების მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, სავარაუდო დარღვევა უკავშირდება მის შეზღუდულ შესაძლებლობას და საქმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმოებაში;

ვ) პირის განცხადებას, რომელიც სადავოდ ხდის დაწყებული გამოძიების გაჭიანურებას თუ გამოძიება ეხება დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, და თუ ეს არ ეხება პირის სიცოცხლის უფლებას ან პირის მიმართ წამების, არაადამიანური, სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების შემთხვევას. მოქალაქის განმეორებითი განცხადება შეიძლება შესწავლილი იქნეს სახალხო დამცველის აპარატიდან ამ საკითხზე პასუხის გაგზავნიდან 5 თვის შემდეგ.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების დარღვევის თაობაზე განცხადებაში მოთხოვნის გაურკვევლობა, არარსებობა ან/და დოკუმენტაციის ასლების არსებობა არ წარმოადგენს ხარვეზის დადგენის საფუძველს.

მუხლი 13. სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დეპარტამენტი

1. სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დეპარტამენტი შეისწავლის მის კომპეტენციას მიკუთვნებულ განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს საჯარო დაწესებულების წინააღმდეგ, რომელიც ეხება ქვემოთ ჩამოთვლილ უფლებებსა და საკითხებს:

ა) შეკრების თავისუფლება;

ბ) გაერთიანების თავისუფლება და უფლებადამცველთა დაცვის საკითხები, რომელიც განმარტებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადამიანის უფლებადამცველთა საკითხებზე მუშაობის სახელმძღვანელოთი;

გ) რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები;

დ) აზრის, ინფორმაციის, გამოხატვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უფლებები;

ე) ინტერნეტის თავისუფლების უფლებები;

ვ) სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები;

ზ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება;

თ) პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;

- ი) გარემოს დაცვის უფლება;
 - კ) მიმოსვლის თავისუფლება, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგულირებული საკითხებისა;
 - ლ) საარჩევნო უფლება;
 - მ) ჯანმრთელობის დაცვის უფლება;
 - ნ) სოციალური დაცვის უფლება, მათ შორის, ფულად სოციალურ დახმარებასთან (საარსებო შემწეობასთან) დაკავშირებული საკითხები, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ადმინისტრირებადი სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებული უფლებადარღვევის საკითხებისა;
 - ო) შრომის უფლება;
 - პ) საკუთრების უფლება და მეწარმეობის თავისუფლება;
 - ჟ) მოქალაქეობის უფლება;
 - რ) ბიზნესი და ადამიანის უფლებები;
 - ს) მხილება საჯარო სამსახურში;
 - ტ) დევნილების უფლებები;
 - უ) ეკომიგრანტების უფლებები;
 - ფ) ხანდაზმულთა უფლებები;
 - ქ) უცხოელები (საერთაშორისო დაცვის მქონე და რეგულირებადი მიგრაცია) უფლებები;
 - ღ) მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები;
 - ყ) შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა;
 - შ) განათლების უფლება;
 - ჩ) პერსონალური მონაცემების დაცვა;
 - ც) სათანადო საცხოვრებლის და საკვებზე ხელმისაწვდომობის უფლება;
 - ძ) პირის განცხადებას, რომელიც სადავოდ ხდის დაწყებული გამოძიების გაჭიანურებას თუ გამოძიება ეხება დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, და თუ ეს არ ეხება პირის სიცოცხლის უფლებას ან პირის მიმართ წამების, არაადამიანური, სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების შემთხვევას. მოქალაქის განმეორებითი განცხადებას შეიძლება შესწავლილი იქნეს სახალხო დამცველის აპარატიდან ამ საკითხზე პასუხის გაგზავნიდან 5 თვის შემდეგ.
2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებებსა და საკითხებს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დეპარტამენტი განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მიეკუთვნება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სხვა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას.

მუხლი 14. მრჩეველი - კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში

1. კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის (ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ე.წ. გამყოფ ხაზთან მაცხოვრებელთა) უფლებათა დარღვევის საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებს შეისწავლის საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველი კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველი კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში შეისწავლის განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომელიც ეხება:

ა) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელთა მოქალაქეობის, გამშვებ პუნქტზე გადაადგილების უფლების დამადასტურებელი და სხვა სამოქალაქო აქტების საქართველოს ხელისუფლებისგან მიღების საკითხს;

ბ) წინამდებარე წესის მე-13 მუხლით გათვალისწინებული უფლებებს და საკითხებს, რომელიც გამომდინარეობს უშუალოდ მათი სტატუსიდან და ეხება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა უფლებებს.

გ) ე.წ. გამყოფ ხაზთან მაცხოვრებელთა სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტებს, რომელიც გამოწვეულია კონფლიქტის შედეგად.

2. საქართველოს სახალხო დამცველის მრჩეველის კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში კომპეტენციას მიკუთვნებულ განცხადებებზე, სათანადო დოკუმენტების არარსებობა არ არის საქმის შესწავლაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 15. ტერიტორიული ორგანოები - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამმართველოები

1. ტერიტორიული ორგანოები - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამმართველოები შეისწავლიან მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ განცხადებას/უფლებადარღვევის ოქმს, რომელიც ეხება:

ა) ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს ადამიანის სავარაუდო უფლებადარღვევის შესახებ, რომელიც არ მიეკუთვნება სახალხო დამცველის აპარატის სხვა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას;

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებს, რომელიც არის სისტემური/კოლექტიური ხასიათის და არ მიეკუთვნება სახალხო დამცველის აპარატის სხვა სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას.